

დღეღმინა

№3, 2015



ი ა

ხევში ია ამოვიდა,
 ზაწაწინა ია,
 სითბო იგრძნო, შეიშმუშნა,
 თვალი გაახილა.
 აღარ უკრთის სუსხიან ქარს,
 სიცივეს და უინვას,
 სურნელს აკმევს, იღიმება,
 სანთელივით ბრწყინავს.
 იავ, ფოთლებს მოაფარე
 ეკ ემხი და კდემა,
 თორემ მოვლენ და მოგკრეფენ
 მკერდზე დასახნევადა!..

ფერიცხადა

ფერიცხადა, ფერიცხადა,
 ნაწი ხარ და ქათქათა,
 ვინ ჩავატვა თეთრი კაბა
 ან რა ხელმა დაგხატა.
 სიო გარსევს, განანავეებს,
 მზე გიკოცნის უგავილსა,
 მალე გუღ-მკერდს დაიმშვენებ
 ღვინისფერი ხალითა.
 ეს ღრუბლებიც ჩაივლიან
 წვიმებით და ავდრებით,
 ამოვივლი შენკენ ბილიკს,
 გნახავ, მოგესალმები!

მხატვარი
 ვაჟა ქურსული



კენკრა და ენკრა



საქართველოში ყველა სოფელი ღამაზია. არა, ქალაქებიც ღამაზია, მაგრამ ერთ ღამაზ სოფელში რვა დაძმა ცხოვრობდა, იმათზე მინდა გიამბოთ. იმ ღამაზ სოფელში ეკლესიაც იდ-

გა. სწორედ იმ ეკლესიის მოძღვრის შვილები იყვნენ რვავე.

ვაითუ, სახელები ვეღარ გავიხსენო. მოდი, მწკრივში ჩავაყენოთ (ოღონდ ფიქრში) და სახელები ისე გავიხსენოთ:

ნინა, მარკოზი, ეფემო, გენო, ელო, ენკრა... ხედავთ? დანარჩენების სახელები დამვიწყნია. რა ვქნა, ვეღარ მოვიგონე. ის კი კარგად მახსოვს, ენკრა ნაბოლარას ერქვა. კუსპარა და ბუტუსურა იყო, მაგრამ უფროს დაძმებს ძალიან უყვარდათ. ლუკმას პირში როგორ ჩაიდებდნენ, პატარა დისთვის არ გაენაწილებინათ. სხვა გზა მაინც არ იყო. საწუწკარს დაინახავდა თუ არა, იქვე ჩნდებოდა, აცქმუტდებოდა მურიას ლეკვივით, პირს დაადებდა, მგონი მუჭიც ჩაეტეოდა.

ბავშვი არ დაახრჩოთ, დააცათ ლუკმა გადაყლაპოსო! – დედავდა მოძღვრის ოჯახს შეკედლებული ობოლი ნათესავი ბიჭი სოსიკა, თან სიცილით იგუდებოდა.

ის რა სოფელია, ტყე და ველი თუ არ აკრავს. იმ სოფელსაც, ბავშვები სადაც ცხოვრობდნენ, ჭრელი ფარდაგივით შვენოდა ველმინდორი.

მინდვრის ბოლოს ტკბილი კენკრის ბუჩქები იყო. აი, იქ მოუხშირეს ტუნტულს პატარებმა. კენკრის ჭამა კარგია, მაგრამ შინიდან მოშორებით იყო ბუჩქნარი, დედ-მამას ეშინოდა – არაფერი მოიწონ ბავშვებმაო. არანაკლებ დედავდა სოსიკაც. იმ დღესაც სირბილით დაღლილ-დაქანცული ქშენით მიიჭრა ბავშვებთან და ოფლად გადვრილი მათ ფერხთით გაიშხლართა. ახლა ამან გააგიჟა პატარები – მოკვდა! მოკვდაო!.. ატეხეს კვილი.

„ცოცხალი ვარ, თქვე ოხრებო, მაწანწაღე ბო... ხმა ჩაიწყვიტეთ, თორემ მე ვიცი თქვენ

პატივისცემა!“ – დაუტანა სოსიკამ პატარებს, იმათაც თითქოს ენა ჩაყლაპეს, ჩაჩუმდნენ და გაცეცხლები წამოადგნენ თავზე მიწაზე გართხმულ ბიჭს.

შეებრალა სოსიკას ბავშვები. ადგა, კრუხივით შეაქუნა ყველანი და გულში ჩაიკრა. მარტო ენკრა იდგა განზე, იღიმებოდა უღარდელად. მუჭებში რაღაც ეჭირა, თითებსა და თითებს შორის წითელი წვენი მოსწურწურებდა.

ეს რადაა, ხომ არაფერი იტკინეო! – შეჰყვირა სოსიკამ. ენკრა ეშმაკური ღიმილით, მგონი ენანებოდა, მაგრამ მაინც პირთან მიუტანა გაშლილი მუჭები. დანარჩენები გაცეცხლები შესცქეროდნენ – ასეთი გულუხვი ნეტავი როდის აქეთ გახდა ჩვენი კუსპარაო.

სოსიკამ კალთაში ჩაისვა ენკრა, გულში ჩაიკრა და ხელის გულიდან ორი თითით აიღო ახლად ჩაწყვლელი კენკრა, თან გულზე ხელს იტყაპუნებდა, – უჰ, რა გემრიელია, რა გემრიელიაო! მაგრამ იცით რატომო? – შეეკითხა დანარჩენებს. იმათ პასუხის ნაცვლად ტუნტები გადმოაბრუნეს, მხრები აიჩეჩეს – აქაოდა, აბა ჩვენ რა ვიცითო. „იმიტომ არის გემრიელი, – განაგრძო სოსიკამ, – ენკრას დაკრეფილია, მისი ხელიდან ყველაფერი გემრიელია, არა, ჩემო ნაბოლარა?“ – ჩაეკითხა სიხარულისგან გაბრწყინებულ გოგოს.



გამხიარულდნენ ბავშვები, თამაშის ხასიათზე დადგნენ, მაგრამ სოსიკას არ ეთამაშებოდა.

„აბა, ახლა კი, გენაცვალეთ, შინ წავიდეთ, თორემ, ვინ იცის, თქვენს მშობლებს გზისკენ ცქერით თვალები დააწყდათ!“ – ფეხზე წამოდგა სოსიკა, პატარები წინ გაირეკა, ნაბოლარა მხრებზე შეისვა და სულ აჩუ-აჩუს ძახილით გასწიეს შინისკენ.

რამდენიმე დღე გოგო-ბიჭები ჭიშკარს აღარ გასცილებიან. თუ გავიდოდნენ, იქვე ჭიშკართან, მიწაში ჩასობილ მერხზე ჩამოსკუპდებოდნენ. პუტპუტებდნენ, იცინოდნენ, ხან ჩხუბსაც გაურევდნენ. აი, ენკრა კი ვარბოდა და გამორბოდა – იმასაც უნდოდა სკამზე დაჯდომა, მაგრამ ვერ ახერხებდა. მერე თავგაბეზრებული აყვირდებოდა. მაშინ რომელიმე უფროსი და ან ძმა აითრევდა, სკამზე დაამწყვებდა. მერე რა, გგონიათ, დიდხანს გაჩერდებოდა დამჯდარი? ისევ ჩამოცურდებოდა. მერე ისევ მოუნდებოდა აძრომა, მაგრამ ნურას უკაცრავად – გეყოფაო! – იყო პასუხი.

იმ დღეს სოსიკა გულარხეინად (ბავშვები იქვე ეგულებოდა) საქმიანობდა ეზოში –

უეცრად რაღაც სიხუმე არ მოეწონა, ღობიდან გადაიხედა – სადღა არიან პატარები!

სწორედ ამ დროს, ბავშვების დასაძახებლად დედა აივანზე გამოვიდა.

– ტყუილად ირჯები, ძალო, წასულან... – თავგაბეზრებულმა ბიჭმა ცული მოისროლა. – ახლა მე მაგათ დღეს დავაყრი, რო... – დაემუქრა პატარებს სოსიკა და დიდი ნაბიჯებითა და გრძელი მკლავების ქნევით დაადგა გზას.

„ბიჭო, ბავშვებს გულები არ დაუხეთქო!“ – დიმილით მიაძახა დედამ და იქვე სკამზე ჩამოჯდა.

„აკი გავაფროხილე, აქ დათვი დადის და სათითაოდ გადაგსანსლავთ, მაგრამ ჩემი სიტყვა აინუნშიც არ ჩააგდეს... – ხმამაღლა ფიქრობდა სოსიკა. – არა, რაო, რა მიპასუხეს? აქ დათვს რა უნდაო... ერთი მაგათ გულადობას დამიხედეთ. მე თქვენ გაჩვენებთ, როგორ უნდა ჩემი სიტყვის გაბაიბურება!“ – ისევ ხმამაღლა იმუქრებოდა ბიჭი. შუა მინდორში გასულმა ბუჩქებზე მისეული ბავშვები დალანდა, ისიც კი შენიშნა, როგორ მაღიანად იღმურძლებოდნენ.

სოსიკამ თავი დაუარა მოგზაურებს. ხოს-





ვით მიუახლოვდა ბუჩქებს და დაიბღვლა. ჯერ ვერაფერს მიხვდნენ პატარები, ყურიც არ ათხოვეს. ეგრე არ უნდაო, ხმას აუწია ბიჭმა, უფრო საზარლად დაიბღვლა და: – ვაი, დედაო! – ერთხმად შეჰყვირეს პატარებმა, ვინ წინა და ვინ უკან. მოუსვევს, მაგრამ როგორ.

მარტო ენკრა აფართოხალდა ერთ ადგილზე. ვერა და ვერ წამოდგა. ხელები რომ მოეხმარა, მაგდენი ჭკუა კი ჰქონდა, კენკრა დაეპნეოდა. მეტი რაღა დარჩენოდა... ისეთი ისივლა, ყურში არ გაიგონებოდა.

გულგახეთქილი გოგო-ბიჭები ეზოში შეცვივდნენ და მათკენ ხელებამოწვდილ დედას შემოეხვივნენ.

„რა იყო, ბავშვებო, გულები ეგრე რამ დაგიხეთქათო?! ენკრა, ენკრა რაღა უყავითო?“ – შეეკითხა დედა შვილებს.

ნუ გეშინია, დედა, ყველანი ცოცხლები გადავრჩით... აი, სანამ დათვი ენკრას შეჭამს, ჩვენ შინ მოსვლა მოვასწართო! – ერთმანეთს არ აცდიდნენ პატარები ახალი ამბის თქმას და... ჭიშკარიც გაიღო.

მხრებზე ენკრაშემოსკუპებული სოსიკა შემოვიდა ეზოში. ორივენი მხიარულად იცინოდნენ.

ხომ ხვდებით, როგორ გაეხარდათ და-ძმებს, საყვარელი ნაბოლარა ცოცხალი და საღ-საღამათი რომ დაინახეს, არა?!..



მხატვარი
ნათია ბეჰურიშვილი

თავსატეხი



ბოროტმა ჯადოქარმა ჩიტები ყვავილებად აქცია, ბალი ოთხ კვადრატულ ნაწილად დაყო და მცენარეები დარგო. თუ შენ ყვავილებს ისე გააფერადებ, რომ თითოეულ კვადრატში ოთხივე მოცემული ფერის ყვავილი იყოს, მთლიანი ბალის ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ კვალში კი ფერები არ მეორდებოდეს, ყვავილები ისევ ჩიტებად იქცევიან და გაფრინდებიან.



იაგოხა

პაპაჩემი გაბრიელი 1883 წელს დაბადებულა. მაღალი იყო, მხარბეჭიანი, თოვლივით თეთრი თმა-წვერით. კარგი სიმღერა და ღოცვა იცოდა, სოფელს წმინდა გიორგის სალოცავში დეკანოზად ჰყავდა არჩეული. სახლის ექიმი იყო და განსაკუთრებით კარგად ერკვეოდა ტრავმატოლოგიაში, ამიტომ ჩვენს სახლში ყოველთვის ხალხმრავლობა იყო. უამრავი ცხვარი ჰყავდა, თვითონ უვლიდა საქონელს. პატარა რომ ვიყავი, ცხვარში სულ თან დავყავდი, გვერდიდან არ მიშორებდა.

ერთ ზაფხულს ცხვარში ვიყავით. მზიანი დღე იყო, ძალიან ცხელოდა. ცხვარი ხეების ქვეშ ჩრდილში მივრეკეთ, ჩვენ კი ხის ბუნსოზე ჩამოვსხედით. მიყურებს პაპა გადიმებული და მეკითხება, შენს პაპა-ბებიებს რა ჰქვიათო. ჩემს ბებიებს – დარიკო და ქეთო, პაპებს – გაბრიელი და იასონი-მეთქი. იმათ მშობლებს რა ერქვათო? ვერ ვუპასუხე.

წინაპრების სახელები უნდა იცოდეთ და დაიწყო მოყოლა:

– მამაჩემს ერქვა პეტრე; პეტრეს მამას – ივანე; ივანეს მამას – იაგორა-გოგია; იაგორას მამას – ყარმაზი, აქედან მოდის ჩვენი გვარიც. იაგორა, ანანურში რომ შეიკრიბნენ არაგველები, მათთან ერთად იყო. ანანურიდან წავიდნენ დუშეთში შეკრებაზე, იქიდან წავიდნენ საომრად და ცოცხალი არავინ დაბრუნებულა – თავიანთი სიცოცხლე სამშობლოს ანაცვალებს კრწანისის ველზე. მის პატივსაცემად მამაჩემმა პეტრემ ჩემს ძმას ია-იასონი დაარქვა სახელად. იას გარდაცვალების შემდეგ მისმა შვილმა ვაჟამ თავის შვილს ია-იაგორა დაარქვა.

პაპაჩემისგან ამ ამბის მოყოლის შემდეგ ჩემი წინაპრების სახელები სუყველა ვიცი. რომ წამოვიზარდე, დავიწყე ძებნა, ნამდვილად იყო თუ არა იაგორა სამას არაგველთან ერთად კრწანისის ველზე. აღმოვაჩინე, რომ იაგორა-გოგია ყარმაზანაშვილი წიგნებში იმ დიდებული გმირე-



თანგი სვანიძე

საქართველო ჩაიია!

სამშობრო

ფიქრი – თავდაუიწყება,
მზე – მამალი სოხობი...
საქართველო იწყება
ჩემი სოფლის ორღობით!

გრემია თუ არმაზი,
ლურჯი მთა თუ მდელთა,
შველაფერზე ღამაზი
ჩემი საქართველოა!
მისი მწვანე ფერდობის
გული – ერთი ბელტია...
ჩემი ერთადერთობით
საქართველოც ერთია!





ჩემი ეს მოკრძალებული ლექსიც ჩვენს დიდ წინაპრებს მიუძღვნენი...

ანანუხში

აქ არის სატი დედა ღვთისმშობლის,
 აქ თავს იურიდნენ არაგვის ლომნი.
 აქ დადეს ფიცი არაგველებმა
 და გაემართნენ კრწანისისაკენ.
 წინ მიუძღოდათ დროპით ნინია,
 შეევარებული თავის მიწაზე.
 აწრიალებულ სმლებს ჭანჭანით
 დუძეთში ერთად დაიგრიალეს;
 კრწანისის ველზე მტერი აკაფეს,
 სამშობლოს მსხვერპლად თავი გადადეს
 და მიაბარეს უკვდავი სული
 თავის მიწა-წყალს, მშობლიურ მხარეს...
 ხალხო, ადექით სანთლებით სელში
 დაილოცენით, თქვენც ფიცი დადეთ,
 მათ მოსავონრად შვილნი ამრავლეთ,
 რომ საქართველო მარად გადაჩეს.

ბის სიაში წერია და მათთან ერთად შესწირა სამშობლოს სიცოცხლე. მე ვამაყობ ჩემი წინაპრებით.

ბავშვებო, მოიძიეთ, ვინ იყვნენ თქვენი წინაპრები და გიყვარდეთ ისინი – იცოდეთ, ვისი გორისა ხართ.

მხატვარი
 მალხაზ კუსაშვილი

ირაკლი ვაშაყმაძე

საძახში თქმული

უკვდავებისა წვაროსი,
 ქართველო, წული დალიე!
 მრავალქამიერ – ღვთის ჭანგი,
 დასძახე იმერ-ამიერ.
 ავაბილიკოთ ლაჟვარდი,
 მაცხოვრის სახლი საუფლო,
 უძლეველია მამული,
 მშვენიერია მამული,
 როცა უფალთან ვსაუბრობთ.

მხატვარი
 ნათია ბაგურიშვილი



კამერტონი

დო, რე, მი, ფა...
დონი, დონი! –
ეურთან ბზუის კამერტონი.

დო, რე, მი, ფა, სოლ და...
სი... სი!.. –
ასე ცუდად რატომ ისმის?

ეველა თავის ადგილზეა,
სი რომ სია, დო რომ დოა,
მანც უკმაყოფილოა –
„კლუბია თუ ტორნტოა!“

კონტრბასი, დიდი ბავშვი,
ჩუმად არის, თუ არ შია:
„სულ არა აქვს ჭკუა თავში?
ტორნტო რა შუაშია!“

დო, რე, მი, ფა...
დონი, დონი! –
მანც ბზუის კამერტონი.

– მოკანჭული,
მიკანჭული,
ეს არ არის კრიმანჭული.

ანუსლუნდა, ახურხულდა,
ვინც არ არის, სად არიან,
ამ ზატარამ, ამ კალიამ
ლოტბარც კი გადარია.

დო, რე, მი, ფა...
დონი, დონი! –
არ იღლება კამერტონი.

მხატვარი
ვაჟა ქურსული

გამოცანები

ნათია ჯანაშია

ზურგი ვაშლით სავსე აქვს,
არ გეგონოთ ხარბი,
სულ ეკლების ბრალია,
რა იქნება?


პურის ყანისკენ გაიქცა,
შორი გზა ხტუნვით გალია,
მწვანე სამოსი აცვია.
გამოიცანი!

იცის, დიდთავა შეარქვეს,
ამით არ იტეხს გულს,
ლამით ფხიზლობს და დღე სძინავს,
რა ფრინველია? . .

ძილი უყვარს ძალიან,
უფრო მეტად - თაფლი,
ბაჯბაჯა და მსუქანა,
რა იქნება?

მზის სხივებზე მოცეკვავე
წვიმამ თავი ისახელა,
შვიდი ფერით რომ მოხატა
ცა, რა არის?

სახლ-კარად არჩია
კლდე, ცამდე აწვდილი,
ფრინველთა მეფეა,
რა ქვია?



ვინ რაზე
ოცნებობს?



კვადრატი პაწაწები

ების უსაცები

ლალი ჯაფარაშვილი

ბბბბბ ბბბბბ ბბბბბ

კვირას, კურდღლების პიკნიკზე,
 კაკაბმა კვერცხი დაკარგა,
 კორდსმიღმა მოისაკლისა,
 ჩამოკრიანდა კარდაკარ!..
 კუმ, ბეკეკამ და კალიამ
 ჩხრიკეს კომბოსტოს კვალთა,
 გაჩხრიკეს კორდის კალთები,
 მოლის ხასხასა ნატები...
 ჩხრიკეს ასკილის ბუჩქები,
 კორდისპირ ბილიკ-ქუჩები...
 რომ დაიღალნენ ძალიან
 და ჩამოხლეს მუხასთან,
 განა ბეკეკამ, კალიამ,
 იმ კაკების კვერცხი კუმ ნახა!



ამ ნახატებიდან რომელი
 იწყება ასო „გ“-ზე

მხატვარი ლაშა სულაკაური



ა ზღაპრებს საყურადღებო კყრუხავნა
აქაონსა "ლოლას" მკითხველებს,
ვინცაქაონს
ასრულებს.

2015 წელი.

ღელამ თავის პატარა გოგონას ცისფერი კაბა შეუკერა. გოგონამ კაბა ჩაიცვა და ძალიან მოეწონა.

— რა კარგია, რა მშვენიერია! — აღტაცებით გაიძახოდნენ ყვავილები, პეპლები, ჩიტები, ჭიამაიები და საკვირველი ის იყო, ვინც იტყოდა, რა კარგიაო, მაშინვე კაბას ფერად სურათად ზედ მიეხატებოდა.

— რა მშვენიერია! — თქვა თვალებმოჭუტულმა ფისომ და უცებ კაბას ზედ მიეხატა.

— ღრუტ, ღრუტ! შესანიშნავია! — დაღრუტუნა ღორმუცელა გოჭმა და ისიც კაბის კალთაზე აღმოჩნდა.

— მელა ვაკლივარ! — შეჰყეფა ცუგომ და, ბიჭოს! — გოგონას კაბაზე ნახატად არ იქცა?!

ერთხელ გოგონა ტყეში მარწყვის საკრეფად წავიდა. გზად მელაკუდა შემოხვდა. მელამ კაბა შეათვალიერა და, როცა ზედ მიხატული ჩიტები, იხვი, გოჭი, წიწილები და ბევრი სხვა საკბილო ნახა, ნერწყვი გადაეყლაპა.

— გოგონა, მომეცი, კაბაზე რომ ჩიტი განატია.

თქვა თუ არა ეს, ნახატი ჩიტი ნამდვილ ჩიტად იქცა, ფრთა ფრთას შემოჰკრა და ტყეში გაუჩინარდა.

მელაკუდამ ახლა გოჭს დაადგა თვალი.

— გოგონა, მომეცი, კაბაზე რომ გოჭი განატია.

თქვა თუ არა, ნახატი გოჭი ნამდვილ გოჭად იქცა, ერთი კი მოხედა მელაკუდას და, ისე მოკურცხლა, თვალს ვერ შეასწრებდი.

გაწბილებულმა მელამ ახლა იხვის გადასანსვლა მოიწადინა,

ერთი ბაჯბაჯა ვინმეა, სად გამეჩქევა, მაშინვე ჩავახრამუნებო. ამ დროს გოგონა იღვა და ფიქრობდა:

— რა ვქნა, ეს ეშმაკი მელა ყველას დამიფრთხობს, ჩემი კაბა ლამაზი აღარ იქნებაო და ატირდა. მერე უცებ გაახსენდა, მის კაბას კბილებალმასა ცუგო რომ ამშვენებდა და შესძახა:

— არიქა, ცუგო, მიშველე!
უნდა გენახათ, რა ამბავი დატრიალდა: ნახატი ცუგო ნამდვილ ცუგოდ იქცა, ისკუპა და ყეფით ეცა მელაკუდას.

წუწკმა მელამ ისე მოკურცხლა, უკან აღარ მოუხედავს.

გახარებულმა გოგონამ მარწყვი დაკრიფა და შინისკენ გასწია. ცისფერ კაბაზე ისევ ეხატა ჩიტები, გოჭი, კბილებდაღრენილი ცუგო, ყვავილები და ჭიამაიები.



მხატვარი
გიორგი ჩაჩანიძე



მარია ნიკლაური



ერთი

გზაზე მიდის **ერთი** კაცი,
ერთი პალტო აცვია,
ერთი ჩანთა უკავია,
 შიგ ლეკვი ჰყავს, პანია.
 ლეკვიც არის **ერთი** –
 არ იღლება ყეფით.



ორი

გზაზე მიდის **ორი** ცხენი.
 ერთი – თეთრი, ერთი – შავი.
 თეთრმა ჭამა ბევრი შვრია.
 შავმა ჭამა ცოტა ჭვავი.
 უკან მოსდევთ **ორი** კვიცი,
 ერთი – დინჯი, ერთი – მკვირცხლი.

სამი

ტყეში დედა კურდღელს ჰყავს
სამი თეთრი ბაჭია.
სამივეა ლამაზი,
სამივეა პანია.
 მათი ტკბილი საუზმე
 ტყის ხილი და მარწყვია.



ოთხი

დათვი დადის **ოთხი** თათით.
 უყვარს კენკრა, უყვარს თაფლი.
ოთხი თათით დადის ძაღლიც,
 აქვს თავისი ჯამიც, სახლიც,
ოთხი ფეხით დადის ცხენიც.
 აჩუ, ცხენო, გასწი, ჰერიიი!

ხუთი

ტყეში ხეა, ხეზე – ბუდე,
 შიგ ჩიტს **ხუთი** კვერცხი უდევს,
 იქნებ, ოთხი? იქნებ, სამი?
 არა! **ხუთი!** **ხუთი** ცალი!
 დედა ჩიტიც იქვე არის,
 ელოდება ბარტყებს –
 კვერცხებს თბილ ფრთებს ადებს.



აქვსი

ხეზე ერთი ფულუროა,
შიგ ციყვების ოჯახია!
მათი ბინა კაკლით, თხილით,
გირჩით სავსე ოთახია.
აქვს ციყვს **აქვსი** კუდი აქვს,
აქვს თხილს ხრავენ, გულიანს.



შვილი

ბაღში ცხოვრობს **შვილი** ჩიტი
ბაღში ხარობს შვილი ხე.
შვილი ჩიტი იწყებს სტვენას
და ამოდის ცაზე მზე.



რვა

ეს ეზოა, ეს – ბავშვები.
რვა თამაშობს ერთი ბურთით –
ოთხი გოგო, ოთხი ბიჭი.
ესეც ჩვენს ორი გუნდი!

ცხრა

ცხრა ცხვარი ძოვს ბალახს წყნარად,
ცხრა ბატკანი დახტის ახლოს,
ერთი ძალღი ცხვრებს დარაჯობს,
იქნებ, სადმე მგელიც ნახოს?!



ათი

გოჭმა ჭამა ჭანჭური,
განა ერთი? **ათი**!
ისე ჭამა – ღრუტ, ღრუტ, ღრუტ –
არ დაღლილა დათვლით.
მოდით, ჩვენ დავითვალოთ:
ერთი, ორი, სამი,
ოთხი, ხუთი ექვსი შვიდი,
რვა, ცხრა, ესეც – **ათი**!

მხატვარი
თეა მიქაია

ცხრათვადა მზე

რა ხანია, მზე არ ჩანდა,
ახლა გამოიხედა.
ენძელები გამოშადა,
გაზაფხულის იმედად.



ყოჩივარდაც ილიმება,
მზის ნაბეჭეში დაბაშობს,
გვიყვარხარო, ცხრათვადა მზევ,
გაზაფხულს რომ გვთავაზობ.

მეგობრობა

ჩვენი ბიჭი – გერაო,
მდინარეში ცურაობს,
ელოდება ნაპირზე
მეგობარი ბერაო.

- შენც იცურე ბერიცო,
არ იქნება ურიგო!
- აქ ვიქნები, არა სჯობს?
შენს სისოცხედეს ვდარაჯობ.



ლელა მებრეველი

შავი ბერა

პაწაწინა შავი ბერა,
სასაყიდო, ყურპანტურა,
მეგობრებში დგას და ჰყვება:
- ევატენამ დაბაჰურა.
ისე ძლიერ მოეწონა
ჩემი აბზეჯილი ცხვირი,
სულ დამითმო ვარაქი და
ფენტოშები თავის წიღი.



გვერდი გააფორმა 9 წლის
კანო ფრანგიშვილმა

ევატო

- ვისწავდემ სირბილი, -
ერთ ამბავში არის,
გამოქანდა ევატო,
დაეჯახა მარის.
მარიმ ვეჟარ მოასწრო,
კერ ექცია მხარი,
ძირს გაგორდა ევატო,
გედ დაეცა მარი.



წინმო არსენაშვილი

ბატი ბუტი



ერთ დედაბერს ბევრი ბატი ჰყოლია; კარგადაც უვლიდა თურმე, სულ დარჩეული სიმინდის მარცვლებით კვებავდა.

ერთ გაზაფხულს დედა ბატმა ჭუკები რომ დაჩეკა, დედაბერმა შეამჩნია, რომ ერთი ჭუკი ძალზე ბუტია იყო. თუ მისი და ან ძმა ადრე მიიღებნდა დედა ბატთან, ბუტია ჭუკი აიბუზებოდა და საერთოდ აღარ მიდიოდა დედასთან, სანამ დედაბერი საკუთარი ხელით არ დააბინავებდა დედის ფრთებქვეშ. თუ მოხალული სიმინდის ფქვილით სავსე გობს სხვა ჭუკი უფრო ადრე ჩასცხებდა თავის ბრტყელ ნისკარტს, მაშინაც იბუტებოდა ჭუკი და საჭმელზე უარს ამბობდა. ბრაზობდა დედაბერი, ამ ბუტია ჭუკს როდემდე უნდა ველოლიავო?

ცოტა რომ წამოიზარდნენ ბატის ჭუკები, დედაბერს იმედი გაუჩნდა, ბუტია ჭუკი ზნეს შეიცვლისო. მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, ბუტია ჭუკი რაღა ბუტია იქნებოდა?! გაიზარდა და ბუტია ბატად გადაიქცა.

ერთ მშვენიერ დღეს, ბატების სადილობის დრო რომ დადგა, დედაბერმა საუკეთესო სიმინდის მარცვლები დაუყარა, თან სხვა ბატებს უქშევდა, უნდოდა, ბუტია ბატს ცოტა მაინც შეეჭამა სიმინდი. დამშუულმა ბატებმა მაინც მიასწრეს ბუტიას. დედაბერმა რომ გამოიჩინა ისინი, ბუტია ბატის წინ კიდევ ბლომად ეყარა სიმინდი, მაგრამ ბუტია ყელს მაღლა იღერებდა და ისე იყურებოდა, თითქოს სიმინდის მარცვლებს ვერც კი ამჩნევსო. იმედი ჰქონდა, დედაბერი ცალკე მაინც დამაპურებსო. სადილობის დრო გადადიოდა და მზე უფრო და უფრო აჭერდა. მალე იმ მარცვლებს შეუღიტიანა მცხუნვა-

რე სხივებით. ერთი ლამაზი მარცვალი გაბრაზდა, შეხტა, ბრაზისგან გასკდა, ტუჩები გამოაჩინა და ბატს შესძახა: - ბატო ბუტი, რას მიწუნებო? ბატმა გოცებისგან პირი დაალო, სიმინდის მარცვლებისგან ერთი სიტყვაც არ გაეგო არასდროს. მარცვალმა დრო იხელთა, კიდევ ახტა და გოცებულ ბატს დაღებულ ნისკარტში შეუვარდა. ბატმა ის იყო, გადაყლაპა გადახლეჩილი სიმინდის მარცვალი, რომ სხვა მარცვლებმაც ატეხეს ტკაცატკუცი და ბატს ნისკარტში შეუცვივდნენ, თან იძახდნენ: ბატი ბუტი, ბატი ბუტო.

იქვე ჩრდილში დედაბრის შვილიშვილი თამაშობდა. გოგონამ ყველაფერი გაიგონა (ბავშვებს ხომ ყველაზე კარგად ესმით მცენარეების, ცხოველებისა თუ ფრინველების ენა) და ახლა გაფაციცებით მისჩერებოდა ხან ბუტია ბატსა და ხან სიმინდის მარცვლებს. ბატსაც მოეწონა ბრაზიანი სიმინდის მარცვლები და მადიანად ყლაპავდა; მთავარი იყო დაეძახათ, ბატო ბუტო, და მარცვალი უკვე ნისკარტში ჰქონდა მოქცეული.

გოგონამ ტაში შემოჰკრა: ბატი ბუტი, ბატი ბუტო და თვითონაც წაეტანა სიმინდის მარცვლებს შესაჭმელად. ბატმა, რა თქმა უნდა, არ დაანება. გოგონა ატირდა და როცა დიდედამ გამოხედა, ყველაფერი უამბო.

დედაბერმა გოგონას ტაფაში მოუხალა ბრაზიანი სიმინდის მარცვლები; ტაფას ცოტა ცხიმი წასცხო, ხოლო ბრაზიან მარცვლებს მარილი მოაყარა, ასე უფრო გემრიელი იქნებაო. მიერთვა გოგონამ ბატი-ბუტი და კმაყოფილი დარჩა. ამის შემდეგ სიმინდის ამ ჯიშს, რომლის მარცვლები მაღალ ტემპერატურაზე ტკაცუნით სკდება, ბატი-ბუტი დაარქვეს.

მე ასე ვფიქრობ, შენ?



მხატვარი ლაშა სულაკაური

საიდუმლო ცოდნათა ზახდახშა



გხაღის ბახიძი

შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის ლეგენდების მიხედვით, ეს არის საიდუმლო თასი, რომელთანაც მიახლოება, შეხება და მისგან ზიარების მიღება იმ დროის ქრისტიან რაინდებს აძლევდა ძალას, აღესრულებინათ საგმირო საქმეები.

ქრისტიანიზმის შვიდ უდიდეს საიდუმლოთაგან ერთ-ერთი ზიარებაა. გრაალის ბარძიმი, ანუ თასი სწორედ ამ საიდუმლოს უკავშირდება და ამიტომ მას ზიარების თასსაც უწოდებენ. მაგრამ...

ამ ბარძიმის ისტორია-ლეგენდა შუა საუკუნეებამდე გაცილებით ადრე იღებს სათავეს და იგი უკავშირდება იესო ქრისტეს.

ვარაუდობენ, რომ ეს ის თასი უნდა იყოს, რომლითაც მაცხოვარმა საიდუმლო სერობაზე აზიარა თავისი მოწაფენი მისივე სისხლით (ღვინით) და ხორციით (პურით). ამიტომ ამ თასიდან ზიარების მიღება სიმბოლურად ნიშნავდა ქრისტესთან, როგორც კაცთან და როგორც ღმერთთან, შერწყმას, ზიარებას.

მაცხოვრის მინიური სიცოცხლის ბოლოს, როცა ის იერუსალიმში ქადაგებდა თავის ღვთაებრივ სიბრძნეს, ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ერთი კაცი, სახელად იოსები. იოსები იერუსალიმის ახლოს მდებარე პატარა ქალაქ არიმათიელის იყო. ამიტომ სახარებაში (და, საერთოდ, ისტორიაში!) იგი ცნობილია იოსებ არიმათიელის სახელით. სახარებიდან მხოლოდ ის ვიცით, რომ იგი კეთილი გულის, მშვიდი ბუნების სამართლიანი კაცი ყოფილა. როგორც ჩანს, განათლებული და ბრძენი პიროვნებაც, რადგან იყო სინედრიონის – უხუცესთა, მნიგნობართა და მღვდელმთავართა საბჭოს წევრი, წარჩინებული მრჩეველი. სინედრიონზე, რომელიც იმართებოდა იერუსალიმის ტაძარში, წყდებოდა საერთო და რელიგიური საქმეები. მაცხოვრის სიკვდილით დასჯაც ამ საბჭოზე გადაწყდა, ოღონდ ამ სხდომაზე იოსებ არიმათიელს მონაწილეობა არ მიუღია. ეს გასაგებიც არის, რადგან ევანგელისტები გვამცნობენ, რომ იგი ფარულად ემონაფებოდა ქრისტეს და „თავადაც მოელოდა ღმერთის სასუფეველს“.

საფიქრებელია, რომ უკანასკნელ სერობაზე იოსებს უკვე უნდა სცოდნოდა სინედრიონის პოზიცია მაცხოვრის საბოლოო განაჩენზე. ამიტომ უკანასკნელი სერობიდან მან აიღო სწორედ ეს ექვარისტული (ზიარების) ბარძიმი, როგორც ძვირფასი და წმინდა ნივთი. ლეგენდის მიხედვით, არიმათიელი თვითმხილველი ყოფილა გოლგოთაზე ვნების პარასკევს გამართული მისტერიებისა, თორემ ამ წმიდათანმიდა თასში იგი ვერ მოაგროვებდა მაცხოვრის სისხლსა და ფერდიდან გადმოღვრილ წყალს, ვერც იმ რომაელი ლეგიონერის, კასიუს ლონგინუსის შუბს წაიღებდა, რომელიც ჯვარცმულს რომაელმა აძგერა ფერდში, რათა დარწმუნებულიყვნენ, აღესრულა თუ არა იესო.

პილატეს ნებართვით, არიმათიელმა ქრისტეს სხეული ჩამოახსნევინა ვინმე ნიკოდიმოსთან



ერთად, მურისა და ალოეს ნაზავი სცხო, ტილოებში გაახვია და ზედ გოლგოთის მთის ძირას, კლდეში გამოკოდილ ქვაბულში დაასვენა, სადაც ჯერ არავინ დაესვენებინათ. როგორც ჩანს, ეს სამარხი იოსებ არიმათიელს თავისთვის ჰქონია გაკეთებული, რადგან გოლგოთის მიმდებარე ეს ადგილები არიმათიელის ბაღი ყოფილა...

სად წაიღო იოსებ არიმათიელმა წმინდა თასი და შუბი?

თქმულების მიხედვით, იოსებს იგი კუნძულ აბალონზე (დიდ ბრიტანეთში) ჩაუტანია. ჩვენი წელთაღრიცხვის VI საუკუნის პირველ ნახევარში თასი, უკვე გრაალის ბარძიმად წოდებული, მეფე არტურთან და მრგვალი მაგიდის რაინდებთან არის ნახსენები...



იოსებ არიმათიელის შემდეგ თითქმის მთელი ხუთი საუკუნე გრაალის თასისა და კასიუს ლონგინუსის შუბის ლეგენდა-ისტორია მიივინყეს. მხოლოდ VI საუკუნის პირველ ნახევარში კვლავ წამოტივტივდა ეს ლეგენდა, ამჯერად უკვე მეფე არტურის (გარდაიცვალა 542 წელს) მეფობის ხანას რომ უკავშირდება.

შუა საუკუნეებიდან უკვე ჩნდება ამ ლეგენდის წერილობითი ძეგლები.

პირველ წერილობით ძეგლად მიჩნეულია გამოჩენილი ფრანგი ტრუბადურის კრეტიენ დე ტრუას „პერსევალი, ანუ თქმულება გრაალზე“. ეს დიდებული ნაწარმოები დაინერა გრაფ ფილიპე ფლანდრიელის შეკვეთით (1180 წ.). სამწუხაროდ, დე ტრუას გარდაცვალების გამო ნაწარმოები დაუსრულებელი დარჩა.

მეორე, უფრო სრული, სიუჟეტი ეკუთვნის გერმანელ პოეტს ვოლფრამ ფონ ეშენბახს, რომელმაც დაწერა რომანი „პარციფალი“.

იმის შესახებ კი თუ როგორ მოხვდა გრაალი


საგელისხმო ინფორმაცია

გრაალის თასს ეძებდნენ ყველგან და ყველა დროში, მოყოლებული შუა საუკუნეთა რაინდებიდან ჰიტლერის ნაცისტი „რაინდებით“ დამთავრებული; ეძებდნენ ყველგან: ბრიტანეთში (გლასტონბერის საგრაფოში), საფრანგეთში, ესპანეთში, აფრიკაში, ტიბეტში და... საქართველოშიც...

XI საუკუნის გერმანელი პოეტი, ვოლფრამ ფონ ეშენბახი პოემაში „პარციფალი“ ჰყვება პარციფალის ნახევარძმა, ფაიერფეტის შვილი, მეფე ხუცესი იოანე კავკასიაში მართავდა ძლიერ სახელმწიფოსო.

პოემის მიხედვით, სწორედ მეფე ხუცეს იოანეს სახელმწიფოში ინახებოდა ფილოსოფიური ქვა, ე. ი. იგივე გრაალის ბარძიმი – გრაალის თასი.

შუა საუკუნეების ევროპელი მონარქები მეფე იოანე ხუცესად იხსენიებდნენ მეფე დავით IV აღმაშენებელს. ამასვე ასაბუთებენ მეცნიერებიც...



ბრიტანეთში, უფრო ზუსტად, არტურის სამეფოში, მოგვითხრო რობერ დე ბორმა პოემაში „იოსებ არიმათიელი“ (დაახლ. 1200 წ.)...

ჩემო ძვირფასო პატარა მკითხველო, ამ დიდებული ნაწარმოებების წაკითხვისას დიდი სიამოვნება გელის.

გრაალსა, შუასაუკუნეთა რაინდებსა თუ მათ ორდენებზე მრავალი მხატვრული, შემეცნებითი და სამეცნიერო-დოკუმენტური ფილმიც არის შექმნილი.

იმედია, ამ ფილმებსაც ნახავ და იქიდანაც უდიდეს სიამოვნებას მიიღებ.

ყურნალი „დილა“ კი გზას დაგილოცავთ საიდუმლო ცოდნათა დაფარული მწვერვალებისკენ.

უფლის მადლი და შუქი გიძლოდეთ ამ დიდ გზაზე.

მოამზადა
ალექსანდრე ბაბელიანო

ღარიბი კაცი და ღარიბი

იყო ერთი ღარიბი კაცი, რომელიც სოფლის პირას ერთ ფარლალა ქოხში ცხოვრობდა. კაცი შეშის მჭრელი იყო. ზამთრობით ყინვისგან დანითლებულ, გაყინულ ხელებს დიდ, გაბზარულ ღუმელზე ითბობდა ხოლმე.

ერთხელაც, როცა ღარიბი კაცი ტყეში იყო და მსხვილ წიფლის ხეს აპობდა, მოულოდნელად თავზე ვეებერთელა, ყავისფერბენვიანი დათვი წამოადგა.

– გამარჯობა, ღარიბო კაცო! ნუთუ ამ საქმეზე უკეთესი სხვა ვერაფერი გამოძებნე? რატომ აიძულებ თავს, რომ ტყეში ხეები აპო?

ღარიბმა კაცმა შუბლი მოინმინდა და ცული ძირს დაუშვა.

– ერთი ეს მითხარი, საიდან იცი, რომ ღარიბი ვარ?

– მაგას რა მიხვედრა უნდა; როგორც კი შენს დაკრებულ პერანგს და დახეულ ჩექმებს შევხედე, ხელად მივხვდი.

ღარიბი კაცი ცოტა ხნით დაფიქრდა და მერე დათვს უთხრა: – მე კი, რომ იცოდე, მაინც აგიყვან მოსამსახურედ. უარს არ გეტყვი. ხო-

ლო, როცა უკვე ჩემი მოსამსახურე იქნები, შენც დააპობ ხეებს.

დათვმა ამაზე ხმამალა გადაიხარხარა და ღარიბ კაცს მიუგო – კონკიაჟლარუნას მოსამსახურე არასდროს არ გავხდები. ჭკუაზე ხომ არ შეიშალე? ხომ იცი, თუ მოვინდომე, ჩემი თათებით ისე დაგბეგვავ, რომ სიკვდილის პირამდე მიგიყვან.


ჩაფიქრდა ღარიბი კაცი, უეცრად თავლებში ეშმაკები აუციმციმდა და დათვს უთხრა:

– მჯერა და ვიცი კიდეც, რომ ღონიერი ხარ, მაგრამ, აბა, ერთი ვნახოთ, ჭკვიანიც თუ ხარ. ამას ახლავე მივხვდები, სამ გამოცანას თუ გამოიცნობ, ხომ კარგი, თუ არადა, ჩემი მოსამსახურე უნდა გახდე. აი, პირველი გამოცანა: მარჯვნივ მივბის, მარცხნივ იხრება; მარცხნივ მივბის, მარჯვნივ იხრება. აბა, თუ მეტყვი, რა არის.

დათვი ცოტა დაფიქრდა, მაგრამ ვერაფერს მიხვდა.

– მელიის კუდია, – თქვა ღარიბმა კაცმა და გაიცინა. – აქ, ტყეში, შენ გვერდით ბინადრობს და მაინც ვერ მიხვდი?

მხატვარი
როინა შელეგია



კარგი, აბა, ახლა მეორე გამოცანას გეტყვი:
 – დიდხანს თუ დაიცდი გამოჩნდება; მიმალუ-
 ლია, მაგრამ, თუ მოინდომე, მაინც იპოვი. რა
 არის?

დათვმა ვერც ახალა უპასუხა და გაბრაზებულ-
 მა რაღაც ჩაიბურტყუნა.

– ნუთუ ვერ მიხვდი? ეს ხომ იაა, შე სულელო.
 გაზაფხულზე ველოდებით, თუ გამოჩნდება, ის
 კი ბუჩქებშია შემალული. ვერ ვხედავთ, მაგრამ
 მაინც ვპოულობთ, რადგან მისი სურნელება გას-
 ცემს.

ახლა კი ბოლო გამოცანას გეტყვი:

– ღონიერია, მსუქანია და თან ტლანქია. დიდი
 თავი აქვს, მაგრამ მაინც სულელია. აბა, გამოიცა-
 ნი, რა არის?

დათვმა თავი ჩაქინდრა.

– შენა ხარ, ძმობილო, – უთხრა კაცმა და სიცი-
 ლი წასკდა. მერე თავისი ცული შეაჩეჩა ხელში და
 დასძინა:

– გადაწყდა, უკვე ჩემი მოსამსახურე ხარ.

დათვმა ველარაფერი უთხრა კაცს, ადგა, უზარ-
 მაზარ წიფლის ხესთან მივიდა, ცული შემოჰკრა
 და პოზა დაუნყო. მუშაობაში ჩაფლული დათვი
 ხანდახან გამხდარი კაცისკენ გააპარებდა ხოლმე
 თვალს. კაცი კი იქვე, კუნძზე ჩამომჯდარიყო და
 მაღიანად შეექცეოდა ღორის ქონს.



ზურაბ მამულაშვილი

ბაბუას გული

გური და მარი,
 მარი და გური,
 ორივე არის
 ბაბუას გული.
 ამათყენა აქვს
 თვალი და უური,
 დიდი ოცნება
 და სიუვარული.



მეგობრობა იწყება

რწმენა მოდის ღმერთიდან,
 სიუვარული – დედიდან,
 მეგობრობა იწყება,
 შვილო, სკოლის მერსიდან.

მხატვარი
 თამთა მამულაშვილი

ახიებური კიოსეები

თუ გაგიჭირდა პასუხების ამოსაცნობად გასაღები იპოვე ყურნალში

როგორია ცხენი,
როცა აბანავებენ?

8 11 2 12 3

--	--	--	--	--	--

რომელ თვეში
ლაპარაკობენ ადამიანები
ყველაზე ნაკლებს?

2 7 11 1 12 19 3

--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--

თუ ჭიქიდან წყალს
გადავასხამთ, რა დარჩება
მასში?

18 1 2 7 3

--	--	--	--	--	--

ვინ ლაპარაკობს
ყველა ენაზე?

2 17 4

--	--	--

რა მოუვა ნითელ ბურთს,
თუ ის ყვითელ ზღვაში
ჩავარდება?

6 1 8 11 2 12 6 2 9 1

--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--

ყველაფერი
ესმის, მაგრამ არ
ლაპარაკობს.

15 5 7 3

--	--	--	--



თავსატეხი



კოტეს სამი ძალი ჰყავს: მურა, ბომბორა და გიშერა.
ყოველ დღით ძაღლებს ახლომდებარე მინდორზე ასეირნებს.
მურა არასდროს გარბის პირველი, გიშერა კი – ბოლო. ბომბორა
და გიშერა სხვადასხვა ჯიშის ძაღლები არიან.
რომელია მურა? ბომბორა? გიშერა?



კრისტობრიდი



ამ კროსვორდს მხოლოდ
ის შეავსებს, ვინც
ჟურნალის ყველა გვერდს
ყურადღებით წაიკითხავს.

1. გრაალის თასი, იგივე ...
2. ვინ შემოხვდა გზაზე
მარწყვის საკრეფად
წასულ გოგონას?
3. თეთრი ყვავილი,
რომელსაც ღვინისფერი
ხალი აქვს.
4. ვინ დაიყენა
მოსამსახურედ გლეხმა.
5. ვინ ჭამს შვრიას და
ჭვავს?
6. რა დაკრიფა ენკრამ?

პირველი ხუთი ბავშვი, რომელიც შეესებ-
ბულ კროსვორდს და ჟურნალში დაბეჭდი-
ლი ყველა თავსატეხის პასუხებს რედაქ-
ციაში მოგვითხანს ან ფოტოასლის სახით
გამოგვიგზავნის, საჩუქრად მიიღებს „დი-
ლის“ მიერ გამოცემულ წიგნს.



ვასალოები

ა - 1	რ - 6	ვ - 11	ტ - 16
ე - 2	წ - 7	ლ - 12	ქ - 17
ი - 3	ს - 8	თ - 13	ჭ - 18
ზ - 4	ბ - 9	კ - 14	შ - 19
ყ - 5	გ - 10	ყ - 15	



ნანა და ცოტნე
ტყაბუჩავეზი

მაცხ და მარია
ჭელიძეები
(ბერბანნიდანი)

ზიღოტქუბი დუბუბუბი დღუ!



მთავარი რედაქტორი: დოღო ნიჰნიჰაქი
ნახატი ყდაზე: ლელა ცუცქირიძის
მის.: ზანდუკელის ქ. 1, ტელ.: 2 93 69 77
<http://www.dila.ge>, ელ-ფოსტა: dila1904@yahoo.com, facebook: საბავშვო გამომცემლობა დილა
ფასი: 2.50 ლარი

ჟურნალი გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და სსიპ „მწერალთა სახლის“ მხარდაჭერით.

